ევროპის საიმიგრაციო კრიზისი მემარჯვენე პოპულისტურ დისკურსში - ვიშეგრადის ოთხეულის შედარებითი ანალიზი (2015-2018 წლები)

მარიამ განუგრავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ევროპისმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოზალიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ განუგრავა

18/06/2021

აბსტრაქტი

ევროპის საიმიგრაციო კრიზისის ფონზე 2015-2018 წლებში ჩატარებულ არჩევნებში მემარჯვენე პოპულისტების მხარდაჭერის გაძლიერებულმა ტალღამ საგრძნობლად შეცვალა ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი. კრიზისის მიმართ ვიშეგრადის ოთხეულის - V4 (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი) რადიკალურმა განწყობებმა, ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგობამ და მემარჯვენე პოპულისტების გაძლიერებამ, ერთი მხრივ, ახალი დატვირთვა მისცა V4-ს, მეორე მხრივ, ეჭვქვეშ დააყენა ევროკავშირის კონსოლიდაცია. კვლევა აანალიზებს V4-ის მემარჯვენე პოპულისტების წინასაარჩევნო დისკურსულ სტრატეგიებს, აკეთებს შედარებით ანალიზს, განსაზღვრავს მათი რიტორიკისა და ძალების მობილიზების ინსტრუმენტებს.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი - დისკურსის ანალიზი. დისკურსის ანალიზის პირველ entry-level დონეზე გამოკვეთილია დისკურსები, რომლებშიც მემარჯვენე პოპულისტებმა შეძლეს იმიგრაციის თემის შეტანა, ხოლო მეორე in-depth დონეზე მაგალითებისა და წინასაარჩევნო წყაროების ილუსტრაციით გაანალიზებულია დისკურსული სტრატეგიები/არგუმენტაციის სქემები-ტოპოსი (topos).

კვლევის შედეგების ინტერპრეტაციით ირკვევა, რომ V4-ში 2015-2018 წლების არჩევნებში მემარჯვენე პოპულისტების გაძლიერება, გამოკვლეული პარტიების მიერ იმიგრაციის სხვადასხვა პოლიტიკურ დისკურსებში შეტანასთან, ცენტრალური და სპეციფიკური დისკურსების კონსტრუირებასა და ფართომასშტაბიანი შიშის დანერგვის დისკურსული სტრატეგიების გამოყენებასთან მჭირდრო კავშირშია. დისკურსული სტრატეგიების იმპლემენტაციისთვის ცენტრალური ადგილი რელიგიური იდენტობის, უსაფრთხოებისა და ეროვნული იდენტობის დისკურსებმა დაიკავა.

ვფიქრობთ, კვლევის შედეგები იძლევა, როგორც მიგრაციისა და პოპულიზმის კვლევების მიმართულების სიღრმისეულად გაფართოების, ისე ევროპის მემარჯვენე პოპულისტური პარტიების რიტორიკისა და დისკურსული სტრატეგიების ანალიზის საშუალებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მემარჯვენე პოპულიზმი, ევროპის საემიგრაციო კრიზისი, ვიშეგრადის ოთხეული, პოლიტიკური დისკურსი.

Abstract

The intensified wave of support for right-wing populists in the 2015-2018 elections, amid the European Refugee Crisis, has significantly changed the political landscape in Europe. The radical attitudes of the Visegrad Four - V4 (Hungary, Poland, Czech Republic, Slovakia) towards the crisis, their opposition to the EU immigration policy and the strengthening of the right-wing populism, on the one hand, gave a new impetus to V4, and on the other hand - cast doubt on the EU consolidation. The study analyzes pre-election discourse strategies of V4 right-wing populists through the comparative analysis and identifies their rhetorical tools and mobilization of forces.

The paper relies on a qualitative research method - discourse analysis. The initial entry-level analysis identified the main discourses, where right-wing populists instrumentalized the immigration topic, while the second - in-depth level - analysed discourse strategies and argumentation schemes (topos) by illustrating specific examples and pre-election materials.

Interpretation of the study results reveals, that the strengthening of the right-wing populists in the V4 2015-2018 elections is closely related to the introduction of immigration topic in various political discourses, the construction of central and specific discourses and the use of large-scale fear implementation strategies. Religious identity, security and national identity played the central role in the execution of such discourse strategies.

We think, that the study results provide an opportunity to deepen the direction of migration and populism studies, as well as to analyze the rhetoric and discourse strategies of the right-wing populist parties in Europe.

Keywords: Right-wing populism, the European Refugee Crisis, Visegrad Four, political discourse.